

ლიტერატურული გაზეთი

1935 იანვარი 18

საქართველოს საბჭოთა მშენებლის კავშირის ექვსდღიური ორგანო

ფასი 50 კაპ. № 3 (95)

ი ა ნ ვ რ ი ს 18

მწერალთა კავშირის მიერ ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე მოწვეული რესპუბლიკური თათბირის მსჯელობის მთავარ საგანს მიმდინარე, მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ამოცანები, მისი დღევანდელი მდგომარეობა, მისი ავტორიტეტისათვის საჭირო ღონისძიებათა დასახვა შეადგენს. იგი შეეხება და დაამუშავებს აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს, ლიტერატურის თეორიის, მეთოდოლოგიისა და ისტორიის ძირითად პრობლემებს.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, მაგრამ ასეთივე ყურადღებით არ ვეპყრობით ლიტერატურული თეორიის და ისტორიის მეტად საპასუხისმგებლო უბანს. ჩვენი თეორიულ-ისტორიული მიზნების სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სადღეისო ლიტერატურული კრიტიკის წარმატებებისათვის.

ლიტერატურის თეორია დამყარებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის სწავლებლებზე ისევე აუცილებელი საქმეა მწერლობისათვის, როგორც საერთოდ რევოლუციური თეორია რევოლუციური პრაქტიკისთვის...

ჩვენი მწერლობის ძირითადი მეთოდის—სოციალისტური რეალიზმის და რევოლუციური რომანტიკის საკითხები დღემდე თეორეტიულად არ არის დამუშავებული. ასევე სტილის საკითხები, ჟანრისა და მრავალი სხვა.

ჩვენმა ლიტერატურამ დაარღვია ძველი პოეტების მრავალი ნორმა, იბადება ახალი ჟანრები: იქმნება ლიტერატურული მეტყველების ახალი ფორმები. ჩვენმა რევოლუციურმა პროზამ და პოეზიამ, ძველი ლიტერატურული ნორმების დეფორმაციის გზით წამოჭრა რიტმის, რითმის, სახის, მეტრის, პეიზაჟის, ჟანრებისა და სხვათა ახალი ვაგები. მთელი ეს კდები და მიღწევები მოითხოვენ კონკრეტულ-თეორიულ შესწავლას. დაგროვებას, განზოგადებას, მათ ნიადაგზე ახალი პოეტის საფუძვლების გამომუშავებას.

ცხადია, ჩვენ არ შეგქმნით საბჭოთა ბუალოს, რომელიც ყველაფერს „ურყევ“ ჩარჩოებში ათავსებდა, ჩვენი მხატვრუ-

ლი პრაქტიკა ვერ მოემწყვედებოდა პოეტის „სამუდამოდ“ დადგენილ ნორმათა სალტეში, მაგრამ მწერლობის პრაქტიკაში შემჩნეული ახალი პროცესების შესწავლა გადაუდებელ ამოცანას შეადგენს.

საქართველოში ლიტერატურული თეორიის საკითხებში მეტად უმწახუნელო ტრადიციები მოგვეპოება. სწორედ ამიტომ ჩვენი მუშაობა მეტად ენერგიული უნდა იყოს.

„ლიტგაზეთის“ მიერ გაშლილმა დისკუსიამ ჟანრებისა, სიუჟეტისა და ქრონოლოგიისა და ნარკვევის შესახებ განააშკარადა ის გარემოება, რომ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა საკმაოდ ვერ არის გაკვეთილი ლიტერატურის ამ საკითხებში.

რაც შეეხება ლიტერატურის ისტორიას, აქ ხომ ჩვენ წინაშე მუშაობის განუსაზღვრელი სარბიელია გადამოღობი. არამც თუ შორეული, არამედ მე-19-20 საუკუნის ლიტერატურაც არ გვაქვს მეცნიერულად სათანადოდ შესწავლილი. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს იმ შეცდომებს, რომელთაც ჰქონდა და ზოგჯერ ახლაც აქვს ადგილი კლასიკოსების შეფასების საკითხში.

ამას ემატება ქართული კრიტიკის ისტორიის თითქმის სრული შეუსწავლელობა. ამ მიმართულებით ჩვენმა „ლიტგაზეთმა“ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. მართალია, ჩვენ ვერ მოვითავსებთ და ვერც მივიღებთ ამ მოკლე ვადებში მონოგრაფიებს, მაგრამ, დაწყებული უახლოესი ნომრებიდან, ჩვენ ვიწყებთ ქართული კრიტიკის ისტორიის შესახებ სერიოზული წერილებისა და გამოკვლევების სერიის გამოქვეყნებას.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც წვეთია ზღვაში.

საკითხის მთელი სიძლიერე კადრების ზრდაშია. ახალ კადრების აღზრდის პროცესში უნდა ვვირდოთ ყალბ აკადემიზმს და ისტორიულ-თეორიული კვლევის აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებიდან გამოთიშვის ტენდენციებს. პოკროვისკი მოითხოვდა ისტორიის აქტიულობას. ჩვენ თეორიულ-ისტორიულ კვლევა-ჩიებისას თვალწინ უნდა გვედგას ჩვენი დროის; ჩვენი ეპოქის მთავარი ინტერესები.



ფრიდონ ნაროშვილი

1. ბრძენი და ჭაბუკი

შენებრ... მღვდლვარე მზე-ჭაბუკები ჩვენ ისეთ დროში ვართ გაჩენილი. შემდეგ თუ ჭაბუკს გადაუდებოთ შენებრ ბრძენი და ჩამორჩენილი, თუ ჩვენში ჩაქრა გრძობა მგზნებარი როგორც სიმწვანე ქრება ბაღისა, თუ ჩვენთვის მოვა გაუგებარი კაცი,—სიბერე დრომ თუ გვაღირსა: ტანგაძარცული და უგრძობი და რბაისელი მუხის ტოტები თუ შევიქნით ახლის მგზობელი და მხოლოდ ძველის პატრიოტები.— შეგვებრძობება მაშინ ქარბუკი საუკუნოვან სიბერეს ისე: განადგურებს ბრძენი-ჭაბუკი ჩვენს სავსემოდებულ სიღარბაისლეს.



2. იმერეთი

თოვლის მოლოდინში

კამკამებს ლაყვარდი, სიცხე არც სიცხე, ქარი, არც ღრუბელი, წვიმა თუ ავდარი, უკვნი თოვლი ლამაზი ინატრეთ, ვაცი მე მაგრამ ვერ ბარში არ ჩამოღის ზამთარი, ისე კი დღეები მიდიან, მიდიან, დიდებულ მშემ თავის წრეს შემოაურა, ზამთარში ზაფხულის მსგავსი ამინდია და ნეტავ ზამთარი იქნება თუ არა, რა წრეულ ზამთარი გახდა სანატრელი იქნება თუ არა კვლავ საკამათოა და ბავშვებს დაურჩა დილით სადარდელი, რომ მოღრუბლიანდა და მაინც არ თოვა. ხომ ბაღლებს მეტადრე თოვლი და ბებია უყვართ და თოვლშიაც თამაში უხაროთ! ბებრები ბაღლობას დაუბრუნდებიან და... თოვლის მოლოდინში გაცივდა ბუხარიც. ისე კი დღეები მიდიან, მიდიან... დიდებულ-მშემ თავის წრეს შემოაურა, ზამთარში ზაფხულის მსგავსი ამინდია და თოვლი ვინ იცის, იქნება თუ არა.

3. თოვლი და ლხინი

ჩვენი ბიჭები სხედან, მღერაინ, დე, დრო ატარონ და მოილხინონ, ბრძენ-მიწას თოვლი თუ შოერია... დაუსხით ბიჭებს, დაუსხით ღვინო! სკეტონ, იმღერონ, დე უღვიწიათ თოვლში მთვლენარე დღე და სოფელი რა სიხარულის ძალა ეწვია ბიჭებს ღვინოზე უფრო მთრობელი. გარეთ თოვს ჩუმად, ლამაზად, მერე ხეები როგორც პურის თაველი ჩამოიღუნა, თერთი სიბერე თოვდა, და თოვლი იფა მტკაცელი. გარეთ თოვს ჩუმად, თვლემენ და სძინავთ და ბრძენი მიწა თოვლმა მოფინა, გარეთ თოვს, თითქოს ათას წლის წინად ეს თოვლიანი დამე ყოფილა. გარეთ თოვს... შიგნით სხედან, მღერაინ ჩვენი ბიჭები... დე, ილხინონ! სკეტონ! იმღერონ! მათ შოერია ვით მიწას თოვლი სისხლი და ღვინო.

ახს. სტალინი კინო-მრეწველობის მუშაკებს

საბჭოთა კინემატოგრაფიის მთავარ სამმართველოს—ახს. შუმიაციის

სალამი და საუბათესო სურვილები საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკებს, მისი სასახლო თხუთმეტი წლისთავზე.

კინო, საბჭოთა ხელისუფლების ხელში, უდიდეს, დაუფასებელ ძალას წარმოადგენს, კინოს ბაზანი მასეზზე სულიერი ზეგავლენის ბან-საკუთრებული შესაძლებლობანი. იგი ეხმარება მუშათა კლასსა და მის პარტიას—აღზარდონ მზოკ-მელნი სოციალიზმის პრინციპებზე, დარაზმონ მასეზი სოციალიზმისათვის საბჭოლოდ, ააბალონ

მათი კულტურა და პოლიტიკური ბრძოლის უნარიანობა.

საბჭოთა ხელისუფლება მოკლის თქვენს ახალ წარმატებებს—ახალ ფილმებს, რომელნიც „ჩაპაევის“ მსგავსად უკვდავყოფენ საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიულ საქმეთა სიღირსს, დარაზმონ მათ ახალ ამოცანათა შესრულებისათვის და მოაგონებენ, როგორც სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს, ისე მის სიძნელეებს.



მიხეილ ქიაურელი



ნიკოლოზ შენგელია

საბჭოთა ხელისუფლება მოკლის თქვენი ოსტატების ბაბილულ ჩაფხრომას „ქველაში მნიშვნელოვანი“ (ლენინი) და ქველაში მასოგარივი ხელოვნების—კინოს—ახალ სფეროებში.



ილუსტრაციები ს. კეცხოველისა

კონკურსი და ოლიმპიადა

დღეს ვაქვეყნებთ ნოველისა და ნარკვევის კონკურსზე წარმოდგენილ მასალათაგან ერთერთს. სულ რედაქციაში შემოვიდა 118 მასალა, მასალების სიმრავლის გამო. შეუძლებელია კონკურსის ვადაში დასრულება. ამიტომ კონკურსის ვადა გავრძელდება. დღევანდელ ნომერში გრძელდება აგრეთვე ბავშვთა მხატვრული ოლიმპიადის მასალების ბეჭდვა.

პრობლემატიკა - კუბლიცისტური ლიტერატურულ კრიტიკის დასაცავად

კ ლ ა ტ მ ნ ძ ი მ მ ძ ი

... nicht Crosses in der Welt ohne Leidenschaft vollbracht worden ist“
Georg Wilhelm Friedrich Hegel.

1.

კრიტიკოსთა ტიპები და კრიტიკის ჯანმრთელობა

ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, სახელდობრ: ლიტერატურის თეორია და ლიტერატურული კრიტიკა რომ სხვადასხვა მოვლენებია ლიტერატურულ მეცნიერებათა ფარგლებში—ეს, რა თქმა უნდა, საერთოდაც ცნობილი ფაქტია. მაგრამ სამაგიეროდ ვერ არის საკმაოდ ცნობილი ის გარემოება, რომ კრიტიკა კი, ცალკე აღებული, სხვადასხვა ჯანმრთელობის ხარისხს უკეთ რომ ვთქვათ, არსებობს სხვადასხვა ტიპის კრიტიკა, რომელიც შესაფერის სხვადასხვა ჯანმრთელობის დარგში გამოვლინდება ხოლმე.

სხვადასხვა ტიპისა და ჯანმრთელობის არსებობდა ისეთივე ისტორიული ფაქტია, როგორც კრიტიკის არსებობა. არაფერი არ არის ქვეყნად ერთმანეთისაგან ჩინური კედლებით გაყოფილი, მით უფრო არ შეიძლება გაუვალელი კედლების ამართვა სხვადასხვა დარგის კრიტიკის შორის. ეს სქემებისა და მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული თანამართლებიანია. ჩვენ ვლაპარაკობთ მთელ რიგ რეალურ ტიპურ ხაზებზე, რომლებიც ერთ წებზე კრიტიკის სხვადასხვა ტიპს წყობს. ამ სხვადასხვა ტიპის კრიტიკის მიხედვით, რომელიც სხვადასხვა ჯანმრთელობის დარგში გამოვლინდება, მათ შორის არის ისეთი, რომელიც სხვადასხვა ჯანმრთელობის დარგში გამოვლინდება.

ჩვენ ვლაპარაკობთ მთელ რიგ რეალურ ტიპურ ხაზებზე, რომლებიც ერთ წებზე კრიტიკის სხვადასხვა ტიპს წყობს. ამ სხვადასხვა ტიპის კრიტიკის მიხედვით, რომელიც სხვადასხვა ჯანმრთელობის დარგში გამოვლინდება, მათ შორის არის ისეთი, რომელიც სხვადასხვა ჯანმრთელობის დარგში გამოვლინდება.

არ შეიძლება კრიტიკის „საერთოდ“. კრიტიკის „საერთოდ“ ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც ყოველივე, რაც „საერთოდ“ (მატერია „საერთოდ“, მოძრაობა „საერთოდ“, ცხოვრება „საერთოდ“). არ არის ისეთი კრიტიკის, რომელიც, რაც უნდა იდეალური იყოს, რაც უნდა უნივერსალური მოგვეჩვენოს, რაც უნდა ნიჭიერ ეროვნულად მოგვეჩვენოს, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს ახსოვდეს უფრო უფრო მხარე მიუღებდეს, ამ ნაწარმოებს უფრო მხარე განიხილოს და უფრო მხარე შეხატოს ერთნაირად სამართლიანად განსჯოს. ასეთი იშვიათობანი, ასეთი უნიკუმები არც იმდენად და ვერც ვერც ვისმე აქვთ მისწავლებილი. მათი არსებობა ძველი ინტელიგენტური კორია—არამედ კრიტიკოსი-ფილოლოგი (ენათმცოდნე), კრიტიკოსი-მეთოდოლოგი, კრიტიკოსი-ფილოლოგი, კრიტიკოსი-ისტორიკოსი და ა. შ.

კრიტიკის რომელი ტიპია უფრო ახლო ლიტერატურული კრიტიკის მთავარ ამოცანებთან? ჩვენის აზრით ყველა ტიპის კრიტიკის არსებობა კანონიერია, საჭიროა და კანონზომიერი. ყველა ტიპის კრიტიკის ერთ და იმავე დროს სხვადასხვა ჯანმრთელობის ხაზით აკეთებენ ლიტერატურული კრიტიკის საქმეს. მაგრამ არის ალბათ ამ სხვადასხვა ტიპის კრიტიკის შორის ისეთები, რომლებიც შედარებით სრულად ასრულებენ ლიტერატურული კრიტიკის მთავარ ამოცანებს.

*) იბეჭდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ლიტერატურულ პრესაში კრიტიკის შესახებ მიმდინარე დისკუსიასთან დაკავშირებით.

ლიტერატურული კრიტიკის

2.

რა არის პრობლემატიკა კრიტიკის

ლიტერატურული კრიტიკის მთავარი დანიშნულებაა შეისწავლოს ლიტერატურული პრაქტიკები, მოახდინოს გავლენა ლიტერატურულ ცხოვრებაზე განსაზღვრული კლასის მოთხოვნების მიხედვით და შეიტანოს მასში ის ლიტერატურა, რომელიც მას სასარგებლოდ მიაჩნია. კრიტიკოსი-რეცენზენტი შეისწავლის ცალკე ნაწარმოებს და ვერ ვასწავლება ლიტერატურულ პრაქტიკას, კრიტიკოსი-ფილოლოგი შეისწავლის ერთ მხარეს, მისი მიდგომის კუთხე ვიწროა (და არა უსარგებლო). კრიტიკოსი-მიმოხილველი უფრო ფაქტების ქრონოლოგიურ წყობაში მამულებს და ა. შ.

ლიტერატურა საზოგადოებრივი იდეოლოგიის სპეციფიკური სახეა. იდეოლოგიათა შორის, ასე ვთქვათ, წამყვანი სფეროა პოლიტიკური, სოციალური მეცნიერებანი, ისტორია, ეკონომიკა... აზრების მიხედვით კი ფილოსოფია იძლევა ამიტომ კრიტიკოსებს შორის ჩვენის აზრით ყველაზე უფრო არსებით ფუნქციას ასრულებს ფილოსოფიურ-პუბლიცისტური „განხილვა“ კრიტიკოსი, რადგან ის სხვებზე უფრო სრულად შეძლებს მთავარი ლიტერატურული პრაქტიკის მის მოთხოვნებში განხილვას. მართლაც, ეს ყოველთვის ასე იყო. რა გინდ ღრმა არ იყო ამა თუ იმ სხვა განხილვის კრიტიკოსის ანალიზი იგი მაინც ლიტერატურის ერთ მხარეს ეხება, იგი მაინც, ასე ვთქვათ, შედარებით ემპირიულია, მასალა და ანალიზი აქ სრული სინთეზის სიმაღლეს ვერ აღწევს, შეჯამებისა და მთლიანი დასკვნის სახეს ვერ ეტყობა.

ნიშნავს თუ არა პუბლიცისტურ-ფილოსოფიური კრიტიკის წინა პლანზე წამოყენება „სოციალური“ ფორმალურა ანალიზის უარყოფას ან დამცირებას. არა! ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ტიპის კრიტიკის არის მხატვრული კრიტიკის და არა „სტუდია“. ის სახეების და მხატვრულ თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე აკეთებს თავის დასკვნებს, მაგრამ წინააღმდეგ სხვა ტიპის კრიტიკისა, ის არ მთავარი დასკვნის სახეს ვერ ეტყობა.

ამიტომ არის, რომ ჩვენ თანამედროვე ჩვენი კრიტიკის სიძნელებების ერთერთ მიზეზად კრიტიკული ანალიზის, კრიტიკის ტიპის არასწორად შერჩევას მივიჩნევთ, ჩვენ არ უარყოფთ ცალკე მწერლის პორტრეტის დახატვის ხარვეზობას, არც მიმოხილვების საჭიროებას, არც ინფორმაციულ წერილების აუცილებლობას, მაგრამ ისინი არ არიან საჭიროები, ეს არ არის მთავარი ჩვენი კრიტიკაში. როგორ წყდება ესა თუ ის პრობლემატიკა, რუსულ ან სხვა ლიტერატურაში; როგორ მოგვცა ამა თუ იმ შემთხვევაში მიმართული ტექსტი ამ მწერალმა, მაგალითად, ქვეყნის ინტელექტუალური ცხოვრება, როგორ არის მოცემული ქართული ახალი ლიტერატურაში ახალი ქალის ტიპი, რამდენად სწორად არის ეს საკითხი დასმული, რა ნაკლი აქვს ამა თუ იმ მწერალს ამ საკითხის გადაჭრას, რა მხატვრულ ხაზებს მიმართა მწერალმა ამ პრობლემის გადაჭრისას, რა პროცესებია ახლა მთავარი ქართულ მწერლობაში, როგორი ხაზით მიდის ახალი ფორმის ძიება, — აი დაახლოებით თემები და საკითხები პრობლემატიკის კრიტიკის კრიტიკოსი-პუბლიცისტი კრიტიკოსი კი არ არის, ის მხოლოდ სხვის სიუჟეტს კი არ განმარტავს, არამედ მას აქვს თავისი სიუჟეტი, მას აქვს მუშაობის თავისი გეგმა. მის მუშაობას აცხოველებს საკუთარი თემა—და ეს სიუჟეტი, ეს გეგმა ეს თემა არის პრობლემატიკა, პროცესები, ძვრები და გზები. ის ნაწარმოებს ნაწარმოებთან კი არ აღარებს მხოლოდ, ნაწარმოებს ის საზოგადოებრივ მოვლენებთან ფონს იხილავს და ცალკე ლიტერატურული ფაქტების შესწავლისას იმავე დიდ საზოგადოებრივ ხასიათს დასკვნებს უბრუნდება.

3.

კრიტიკის პარტიულობა

კრიტიკა არ არის მომხაზურება და ან რეკლამა მწერლისა. კრიტიკა წამყვანი ძალაა ლიტერატურულ ცხოვრებაში იქ, სადაც არის მძლავრი კრიტიკა. და იქ, სადაც ეს ასე არ არის—არაფერი მწერლები, არაფერი პოეტები და არ არის ლიტერატურული მოძრაობა. ის, რაც აქცევს მწერლობას მოძრაობად არის კრიტიკა. გერმანელებს აქვთ მშვენიერი სიტყვა „Eröffnungswelle“, რაც ბრძოლაში წინმძღველ რაზმს ნიშნავს. აი, ეს მოწინავე რაზმი კრიტიკა და მხოლოდ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცალმხრივობით, მისი ობსკურანტიზმით და შეზღუდულობით აიხსნება, რომ ლიტერატურის ისტორიები იწერებოდა კრიტიკის ისტორიისაგან გამოთიშვით (ეს იმით, რომ იდეალისტური სისტემების თანახმად მწერლობა საზოგადოებრივი აზრის ისტორიისაგან უნდა მოეწყობათ).

რა ვუფთო, რომ კრიტიკა ხშირად შავ მუშაობას ასრულებს და არ არის იმდენად მასობრივი, როგორც მწერალი. ვის არ გინახავს კინო-სურათი „ჩაპევი“? დივიზიას სახელი ჩაპევისა აქვს, ჩაპევი არის პოპულარული, ის არის გმირი. მაგრამ პოლიტიკური კომისარი ფურმანოვი არის პარტიის ხელი, არის კლასის შეგნების კონდენსაცია, არსებითი წამყვანი ძალის წარმომადგენელი. ჩაპევიც და ფურმანოვიც ერთი საქმისათვის იბრძვიან, მაგრამ მათ შორის არის განსხვავება, მათ პარტიულობაში არის ერთგვარი თავისებურება. მწერალი ხშირად ჩაპევი (ხშირად და არა ყოველთვის!), კრიტიკოსი კი ფურმანოვი. კრიტიკა უფრო უშუალოდ, პირდაპირ და მკვეთრად გამოხატავს იმავე კლასის ლიტერატურულ ფილოსოფიას, რასაც ამავე კლასის მწერალი ხშირად უფრო გახაზავებით (პროსტრუქციანთა), მხატვრული თავისებურებით გამოთქვამს. რა თქმა უნდა, მწერალი ისეთივე ხმა თავისი კლასის, როგორც კრიტიკოსი, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო უშუალოდ პარტიულობაა.

მატერიალიზმი შეიცავს თავისთავად, ასე ვთქვათ, პარტიულობას, ის გვახსენებდეს მოვლენების ყოველგვარ შეფასებას აშკარად დავდგეთ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფს პოლიტიკურ-ანბოდა ლენინის ახვევა მატერიალისტური ლიტერატურული კრიტიკა დაყრდნობილი მარქს-ენგელს-ლენინის ტალღის მომდგრებაზე. რომელი ტიპის კრიტიკოსია უფრო უშუალოდ პარტიული თუ არა პუბლიცისტურ-პრობლემატიკის ხასიათისა? მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ პარტიულობა მეცნიერულად გავაქვით იგივეა რაც პარტიობა, პოლიტიკურად პოლიტიკობა, ტენდენციურობა—ცალმხრივი მიკერძობა...

ჩვენი კრიტიკა არის ობიექტური, ფაქტებზე დაყრდნობილი. ფაქტი კი ჯიუტი რამაა. აი, მაგალითად, პარტიობა და არა პარტიულობა იყო, როცა კი ტა აბა შიძე ცდილობდა ეგნატენის სოციალისტური მიჩქმავის, ჩაჩობის, პარტიულობა მოითხოვს არ უარყო, გვერდი არ აუარო ფაქტს, მაგრამ ახსნა ისე, როგორც შენი კლასის ინტერესები გიკარნახებს. და ეს შენი კრიტიკა იმდენად უფრო ობიექტური იქნება, რამდენად შენი კლასი ობიექტური სინამდვილის განვითარების მოწინავე პოზიციებზე დგას და რამდენად შენ უსუსტად გამოხატავ ამ კლასის ინტერესებს. კიბა აბა შიძე არ წააგებდა, მოიგებდა კიდევ, თავისივე კლასის თვალთახედვით რომ ეგნატენს შემოქმედების თავისებური ახსნა მაინც მოეცა. მაგრამ მისი პარტიულობა აქ გაშარებდა მდევ მივიდა და ეს იმით, რომ ის კლასი, რომელსაც კიბა გამოხატავდა, სრულებით არ იყო პროგრესიული ძალა და არ შეეძლო თუგინდ ეგნატენს მისაკუთრების ცდა მაინც ჩაეტარებია, ისე როგორც ილიამ და ვიოთა შვილის მისაკუთრება სცადა.


ახვევა დღესაც. მე შემოძლია „არ მისწონდეს“ ესა თუ ის მწერალი, მაგრამ არ შემოძლია სწორად არ შევფასო მისი ადგილი და მნიშვნელობა. მე შემოძლია ვებრძოლო მწერალს ან მის შეცდომებს, მაგრამ არ შემოძლია ობიექტური სინამდვილიდან ამოვვარდი.

ობიექტურობა ობიექტურობის როლი ნიშნავს ესე იგი ფაქტის აღიარება ფაქტის პროპაგანდა არ უდრის. ფაქტი მე სწორად უნდა ავხსნა და უკვე ამ ახსნაშივე მოცემული ამ ფაქტისადმი დამოკიდებულება. და აქ გვახსენდება ჩვენ ჰეგელის ის სიტყვები, რომლებიც ამ წერილის ეპიგრაფად დასაწყისშივე მოვიყვანეთ. არაფერი არ შექმნილა ქვეყნად ვნების გარეშე—ამბობს იგი. ჩვენ შეგვეძლო დაგვეოწმებინათ ესეთიკის პარტიულობის უდიდესი პროპაგანდისტები და არა ობიექტური იდეოლოგიის ეს მომბლანი. მაგრამ ინტერესიც იმაშია, რომ სწორედ ობიექტური იდეოლისტური ფილოსოფიის წარმომადგენელიც კი ასე ლაპარაკობს, მით უფრო ასე უნდა ვთქვათ ჩვენ! არაფერი არ შეიქმნება ლიტერატურული კრიტიკაში, თუ დიდ იდეურ ვნებებთან არ გვაქვს საქმე. დიდი იდეური ვნებებისთვის კი საუკეთესო იარაღი პრობლემატიკის-პუბლიცისტური კრიტიკაა. კრიტიკოსი ვერაფერს ვერ მიცემს ვერც მკითხველს, ვერც მწერალს თუ მას თვითონ არ აქვს მტკიცე შემოქმედებითი ორიენტაცია, თუ მას არ აქვს საკუთარი გემოვნება, შემოქმედებითი ხაზი. განსაზღვრული, შემოქმედებითი ორიენტაცია ძლიერ კრიტიკოსს საკუთარ სახეს, ისე როგორც მწერალს. უსახო კრიტიკოსი იგივეა რაც უსახო მწერალი. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს კრიტიკოსის მიერ განსაზღვრული შემოქმედებითი ხაზის დაცვა სხვა შემოქმედებითი ხაზის წარმომადგენელ მწერლების დაუფასებლობას გამოიწვევს. პირიქით. განსაზღვრული შემოქმედებითი მრწამსის ნამდვილი პარტიული სწორად იმაშია დაინტერესებული, რომ „სხვა“ შემოქმედებელი მიმართული იყნენ. რათა მის მიერ არჩეულ შემოქმედებით მიმდინარეობას სერიოზული ზრდის და მძლავრი შეჯიბრების წყარო შექმნდეს.

განსაზღვრული შემოქმედებითი ხაზის დამცველი კრიტიკოსი იმდენად უფრო ობიექტურია, რამდენად უფრო ღრმად ეხმარება მას თავისი შემოქმედებითი ხაზის არსებითი მხარე, რამდენად უფრო ვნებანია იგი თავის იდეურობაში.

მაგრამ რა საჭიროა ჩვენ პირობებში ასეთი პრობლემატიკის-პუბლიცისტური კრიტიკის დაცვა? ვისგან? საქმე იმაშია, რომ ჩვენი კრიტიკის ზრდის პროცესშიც პირველ რიგში ჩვენ გვჭირდება „მემარცხენე“-ვულგარისტური (უმთავრესად პროლეტარიალთა ასოციაციის პერიოდში) გადახრები. უხეშმა „სოციალიზმმა“ მხატვრული სიტყვის თავისებურების (სპეციფიკის) უფლებებზე უფრო, ლიტერატურის სხვა იდეოლოგიებთან მექანიკურ გაიგივებამ და სხვა—შემდგომში გამოიწვია მეორე, მემარცხენე ლაპარაკი შინაარსისგან ჩამოწყვეტით. ესეთი მწერლისთვის. ასეთი მწერლები კრიტიკოსს კრიტიკის პუბლიცისტურ-პრობლემატიკის ხაზთან უარის თქმისკენ მოუწოდებდნენ. აი, ამ ორივე საშიშროებისგანაა საჭირო ნამდვილი მხატვრული პუბლიცისტურ-პრობლემატიკის კრიტიკის დაცვა.

ქართულ სინამდვილეშიაც სუსტია პრობლემატიკის-პუბლიცისტური კრიტიკა. მთელი ლიტერატურული საზოგადოებრიობა უნდა იქნეს დაინტერესებული ასეთი კრიტიკის ზრდაში. ასეთი კრიტიკის გამარჯვებისათვის იდეური დონე, ლიტერატურული ცხოვრება უფრო მრავალფეროვანდება, მხატვრული ოსტატობის საკითხები გამოდის ვიწრო კაბინეტურ ჩარჩოებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების მზის სინათლეზე. პრობლემატიკის-პუბლიცისტური კრიტიკა ლიტერატურის მოწინავე რაზმი.



საკონკურსო მასალა

გავარგარებული ლიონის ხმა დაირბა ჰაერში და განთიადის მოლოდინში გარინდებული ქალაქი ათრთოლდა. ამ ხმის უკანასკნელი გამოძახილი, როგორც ბრძოლისაკენ მოწოდების ხმა, ქალაქს თავზე გადაეწო და შორს, სადღაც ამწვანებულ ველებში, ჩაიკარგა. საყვირიდან ამოვრქვეული ორთქლი რამდენიმე ხანს კიდევ ფარუტებდა ჰაერში და ეს თოვლისფერი ჰავლი, ვით სპეტაკი ცხვირსახოკი უცნობის მიერ მალა აფრიალებული, თითქოს ცხოველყოფილი დილის მოსვლას გვანიშნებდა.

მაგრამ დილა მზემ როდი მოიტანა! იგი საყვირის ცეცხლოვანმა ხმებმა გავითენა ჩვენ. ხოლო მზე კიდევ არ იყო ამოსული! მარტო აღისფრად ანთებულ გვაუწყებდნენ, რომ მზე ჩვენთვის მუშაობდა.

—ნუ უცდით, მზე იგვიანებს!..
და ჩვენ ავაგვიზივით საკუთარი მზე, რომ მით ავანთოთ ყველა განთიადებზე ულამაზესი, ცეცხლოვანი განთიადი, რომ მით ავაჯღეროთ ყველა დილაზე უწმინდესი—დილა სიხარულისა, რომ მით ავაგუგუნოთ ყველა დღეებზე უმდიდრესი—დღე შემოქმედი!

განუმეორებლად ულამაზესია ეს დილა და ეს წუთი, როს ოქროში ნაფერი სხივთა კონა ქარხნის საკვამურზე შემომჯდარა და ქვეყანას უცინის, ვით ბავში ექვსი თვისა. მაგრამ ნუ მოვიხრით მუხლს ვედრებით მის წინაშე:

—ახ, შეჩერდი, წუთო!..
დღე, სხივთა სისწრაფით იდინოს დრომ. ჩვენ კიდევ მრავალ ცეცხლოვან დღეებს ავაგვიზივებთ, ვით კოკონს ჩაუქრობელს! ეს ჩვენ გავათენეთ დღე დღევანდელი, ასე ლამაზი და სიხარულის ჰიმნებით სავსე. და ისეთი ცოცხალი დილაა ახლა, ისეთი კისკასი, რომ კაცს თვალზე ცრემლი მოადგება, ისეთი სპეტაკი, როგორც ფოთოლზე შერჩენილი ერთი წვეთი ცვარი, ცისარტყელას ფერებით შემკული.

სტალინის ქუჩაზე მდებარე სახლშიაც გათენდა ეს მშვენიერი დილა. ხმაურით გაიღო ფანჯრები და ამ ხმაურში იგრძნობოდა სიცოცხლის ფრთების შრიალი. ყოველ ფანჯარაში გამოიკვეთა ადამიანთა ძილისაგან დათენთილი სახეები.

—ირაკლი, მიდიხარ? გაისმა მთქნარებაში გამოღეჭილი ხმა. ამ სიტყვებზე ახალგაზრდა კაცი სწრაფად მოშორდა ფანჯარას და შემდეგ ისევ გამოჩნდა მაიკა გადაცმული.

—მომიცადე, არ წახვიდე. აი, მეც მოვდევარ—ბუტბუტებდა ის და სახელოებში სასწრაფოდ უყრიდა მკლავებს. ქუჩაზე მდგომმა ახალგაზრდამ, რომელსაც ირაკლი უწოდეს, მოუთმენლად შეავლო თვალი ფანჯარას და ორივე ხელით გულდასმით გაისწორა ქუდი თავზე. „დამავიანებს“—გაიფიქრა ირაკლიმ და მოუუსტყეს ამხანაგს ხმამალა შესძახა:

—უჩქარე, ლექსო, გვაგვიანდება!
ლექსომ თითქოს ფრენით ჩამოირბინა მრავალსაფეხურიანი ქვის კიბე და წინ წასულ ამხანაგს მხარში ამოუდგა.

ქალაქის ეს უბანი უკვე გაღვივებული და სიცოცხლის ხმებით სავსე რკინისა და ბეტონის ჰანგზე ჟღერდა. ცაზე ნაცრისფერი ნისლი მიქონდა ქარს და ავტომანქანების გრუხუნში, საყვირთა ქუხილში, მძიმე მექანიკური უროების ცემში, ორთქლმავლების წივლში და უდიდეს ძრავების გრაღში, რაიც სხვა, დიდი ქალაქების შეუდარებელ პოეზიას შეადგენს, იბადებოდა ახალი ნათელი დღე, სიხარულისა, ბრძოლისა

და გამარჯვების დღე (და ყველაზე დიდი სიხარული იმ კაცის მკერდში სცემს, ვინც ასეთი ნათელი დღის შემოქმედი!).

ახალგაზრდებმა შეუსვენებელი აირბინეს მწვანეყვავილას მარად მწვანით შემოსილი გორაკი და ახლა თავზე დაკეტილ მათ წინაშე გადაშლილ ქალაქს, მბოლავ საკვამურებსა და რადიოანძებს შორის გადაშლილს. ორივე რაღაც დიდ, უჩვეულო გრძნობას განიცდიდა. ასეთი გრძნობა ეუფლება მეცხვარეს მაშინ, როდესაც ფერდობზე შეფენილ ფარას შეყურებს სიხარულით თვალგაბრწყინებულთ.

შორს, სადაც თვალციკი არ წვდება, ხელისგულივით გაშლილა ნისლში ჩაძირული კოლხიდა, და ამ ცამდე ამართულ ნისლში საოცრად ფლავს მდინარე რაონი, ვით სარკის ნატეხი.

ირაკლიმ ხელი სამხრეთისაკენ გაიშვირა და ალტაცებით წარმოთქვა:

—რა ლამაზია ახლა რაონი!..
—მალე დავაბამთ ამ გიჟს ჩვენ.
—და, როგორც ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ სიმდიდრეს, რაონსაც სოციალისტურ საკუთრებად ვაქცევთ.

საყვირმა სამჯერ დაიქუხა. ეს მუშაობის დაწყების ნიშანი იყო. ამ დროს ახალგაზრდებმაც მოატანეს.

—სწორედ სულზე მოუსწარიტ—წამოიძახა ლექსომ და თვალები ამხანაგს შეანათა. ირაკლიმ გაიღიმა: კმაყოფილი იყო, რომ მოსვლა არ დაავიანდათ. ახალგაზრდები, მართლაც, ყოველთვის „სულზე უსწრებდნენ“: იანვარში,

ახლ ი-ო და: ჰიდროსადგურის მთელს მშენებლობაზე სადერევაციო არხის სამუშაოები სამარცხვინოდ ჩამორჩა. ხოლო მესამე გვირაბი, სადაც ახალგაზრდები მუშაობდნენ, ვადაზე აღრე იქნა დამთავრებული. და აქაც „სულზე მოუსწრეს“ მათ, რომ არხის მშენებლობაც ისევე წარმატებით დაემთავრებიათ, როგორც მესამე გვირაბისა.

ტყუილი როდი იყო, როცა აქ მუშები ამბობდნენ:

—ცეცხლია, ირაკლი, ცეცხლი! ეს ცეცხლი იგრძნობოდა ირაკლის ყოველდღიურ შრომაში. ახლაც: მკერდგაღელი და ოფლში გაწურული მთელი გულისყურით შრომას იყო მიცემული.

არა, ეს მარტო შრომა როდი იყო! ეს იყო უდიდესი გატაცება, დიადი ცეცხლოვანი შემოქმედება, ჯერ უთქმელი საგალობელი ჩვენი ქვეყნის თავისუფალ მიწაზე შეთხზული..

რამდენიმე წუთში სადერევაციო არხი სიცოცხლის ხმებით აივსო. შრომის მუსიკამ—ადამიანთა ამ გატაცებულ, თავდადებულ მოქმედებაში რომ იქმნებოდა, სიმივით აატოკა დილის გამჟღავნებელი ჰაერი.

უეცრად ირაკლიმ თავი მალა აიღო და ლიანდაგს გახედა. მას მოეჩვენა თითქო ვიღაც ეძახდა.

—ირაკლი!—მოისმა ისევ, ლექსოს ხმა იყო.

—რა ჯანდაბაა—გაიფიქრა მან და სახეზე უკმაყოფილება აღებეჭდა.

—მაგრამ ეს ერთის წუთით. შემდეგ კი უკმაყოფილება შემფოთებამ შეცვალა.



ილუსტრაცია ს. კეცხოველისა

ბის შესავალთან მომუშავე ამხანაგები.

„გვირაბი... ამხანაგები... რორიდენ წუთის შემდეგ კი ნგრევის ხმებში და მტერის კორიანტელში ჩაინთქებიან ისინი. ვინ უშველის, ვისი თავგამეტება, ვისი გმირული მარჯვენა დაიფარავს მათ სიკვდილის შემართულ მახვილისაგან; ვინ დაიჭერს გაფრენილ რონოდანას?!“.

ირაკლიმ თვალი ირგვლივ მოავლო, რომ რაიმე ესაშველნა, მაგრამ რა იქნებოდა ისეთი, ფრთაშესხმულ რონოდანას რომ შეაჩერებდა?

რონოდანა სწრაფად ახლოვდება და მის ბორბალთა გრიალში სიკვდილის საშინელი სიმღერა ისმის. მაგრამ ირაკლი მხოლოდ სიცოცხლეს და ძალას გრძნობს ამ წუთში.

გატყორცილ ქვასავით მსრბოლავ რონოდანას ირაკლიმ მარჯვენა ბეჭი შეაგება... შეაგება და, თითქოს თავში ჩაქუჩი დაკრესო, მოჭრილ ხესავით ლიანდაგზე გაიშხლართა და რონოდანაც შეჩერდა..

ასე რელსებს შორის გაშხლართული იწვა ორი თუ სამი წამი; შემდეგ ფეხზე წამოდგა და თავი რომ ვერ შეიმავრა, მკერდით რონოდანას მიეყრდნო.

—რა ჩაიდინე ეს, ირაკლი, რა?! ჩურჩულებდა ლექსო, რომელიც ამ შემთხვევის დანახვისთანავე ამხანაგთან გაჩნდა, და, მომხდარი ამბით შემფოთებულმა, არ იცოდა ამხანაგისთვის რით ეშველნა.

—არაფერი, არაფერი!
მალე შემთხვევის ადგილზე ოციოდე მუშამ მოიყარა თავი. ბოლოს გვირაბის შესავალთან მომუშავენიც მოვიდნენ.

დაჭრილს მუხლები მოეკეცა. დაუძლურებული ხელები უეცრად მოსხლტა რონოდანაზე.

ლამდებოდა. სიბნელი, ვით ნისლი, მძიმედ ეშვებოდა ქალაქის თავზე. უეცრად ელექტრონის დამაბრმავებელმა ჩქერმა ერთის დაკერით გაანათა ირგვლივ. დღე ისევ თავიდან დაიწყო, თუმცა მზე ის იყო ჰორიზონტს მოეფარა.

ფიქრებში წასული ახალგაზრდა შესვენებული ნაბიჯით მიდიოდა სტალინის ქუჩაზე.

—ლექსო!.. მოისმა შორიდან. დაფიქრებით მიმავალი ხელნაკრავით შეჩერდა და უკან მოიხედა. მასთან ახალგაზრდა ქალი მიიჭრა შეშინებული, ფერმკრთალი და თვალბეჭით ცრემლმორეული.

—ლექსო... ქალს ენა დაება და ჯივის მოახერხა:

—მოკვდა?... და ვერ შესძლო, რომ უცხო კაცთან ცრემლები მაინც დაეშალა.

—ო, არა! ის არ მოკვდება—უჩვეულო, მგზნებარე ხმით მიუგო ვაჟმა.

—ჩემი ძამიე, არ მომატყუო—თხოვს ქალი:

—გმირები არ კვდებიან!

ხოლო ქალი ისევ ჩურჩულებს:

—მიტხარი, მოკვდა?

—ის მარად იცოცხლებს, გმირის სახელით გაბრწყინებული.

—ახ, მოკვდა? კითხულობს მართოლვარე ხმა.

—განა მზე კვდება?!
სიხარულით ალტაცებული ქალის სახე ღიმილით გაიბადრა, ვით მთვარე ცამეტი დღისა.

ცა კამკამა

ცა კამკამა, ამოვარდნილ ქარებით
ბამბის ღრუბლებს ათამაშებს, აგორებს,
ხან კი ლურჯი,

მოღვლეფუნე წყალივით
დააშუქებს ანისლებულ მთაგორებს.
შორს, თითქოა
წითელფერა ტალახი,
წითელი მზე მდინარეში ბანაობს,
და მინდორი — გაზაფხულის ბალახით
ამწვანებულ ტალღელებით ქანაობს.

ეს ხომ ჩვენი
კალექტივის მოლია,
ფერდობებზე ჩამწკრივებულ ქოხებით.
ჩვენსულებში ჩანჩქერების ბროლია
და მოვარდნილ წყალდიდობის ბოყინი.
მაგრამ აი,
სოფლის ბოლოს, უცხრად
ძველ წისკვილთან ელსადგურმა იქექა.
ჯგებირები ცამდე ამოულფესავთ
ჩვენს გლეხობას კომკავშირის ბიჭებთან.
გზა-შარაზე
მიდის ხარი მაღალი
მიბღავის და მინდორს თვალით ანათებს.
იქ სოფელი, ხსვა ცხოვრებას დახარის,
აკვამულული ფორწონები გამართეს.
ირგვლივ შრომა,
გამარჯვების ხალისი,
მათი საქმე ლექსად იყოს ნაქები.
მინდვრებიდან სიმღერები გაისმის,
აშრიალდენ ციტრუსების ბაღები.

პ. მარსაგვილი

ტფილისი, პოლიგრაფსკოლის
მოსწავლე, მოხვეე

უცმა და ეცა

1.

უცმა და ეცა ხესთან ყუმბარა,
ცას გადმოიწინდა შავი ნაღები.
რევოლუციამ დაიქუხა და
ცეცხლით მთხილი თრთის ესპანეთი.

სადაც გაითქვა გმირმა სახელი,
ტყემ გამოიხმო ყორნის ჩხვილი.
მშვიერა სუნთქვა,
ჯერ არ ნახული,
ფრინტებს მოასკდა ქარიშხალივით.

ბორგავს ქვემეზი ბარიკადაზე,
ავარდა ცეცხლი უშველებელი.
თვალეები სინჯვეს ახალ ნახვებს,
საკუთარ ძარღვთა სისხლით შეფერილს.

ბაირალეებს ტყე მოშრილო,
გასროლილ ტყეებს სისწორეს აძლევს.
ბარიკადები წითლად კრიალებს,
ამღერებულ ტყეების ხმაზე.

2.

დღემ მოიტანა მტირალი დილა,
ტყვისფერი და თოვლივით ცივი.
გზას აედევნა მთებისკენ ფრთხილად
დამე—ფერმკრთალი და სისხლდაცლილი.

ნაწვიმარივით ეღვარა მიწა
გაშრა, დაიხა ნიღბების ფარდა.
ბრძოლების ქარი მსუჟრდა, მიწა...
და უგზოუკვდავად გაუჩინარდა.


ო, უგზოუკვდავ არა და არა,
იგი დარჩება სამაგალითო.
მაღელ მხოვლივით მკერდავ დაფარავს:
რომ ძველი ყოფა დაქრას, დაფლითოს.

ვლ. სულაბერიძე

ქუთაისი, ტექნიკუმის მოწავე.

ამ რამდენიმე ხნის წინად მწერალთა სახან-
ლეში ჩატარდა ს. ჩიქოვანის შემოქმედების
საღამო—მისი ლექსების ახალი წიგნის გამოს-
ვლასთან დაკავშირებით. კამათში, როგორც
წვერდით, თითქმის მთელმა ლიტერატურულმა
აქტივებმა მიიღო მონაწილეობა.

დისკუსია დაიწყო პოეტ. ვ. გაფრინდ-
შვილის მოხსენებით, რომელმაც მოკლედ
დაახსიათა ს. ჩიქოვანის განვითარება ფუტუ-
რისმიდან, „მეზარცხენოზიდან“ და ფორმალ-
შიდანი იმ დონემდე, რომელზედაც ის დღესაა.
წვერდებოდა უპირობო და მთლიანად სწორად
თაობის წარმომადგენელი დ. საწყისში და ახლა



ჩვენი ქვეყნის ერთერთი მოწინავე მწერალი—
ასეთია მისი ზნა, განვლილი პროლეტარიატის
ზეგავლენით და პარტიის დახმარებით. მის შე-
მოქმედებას ახასიათებს ბრძოლა „აზრიანი
პოეზიისათვის“, აზრის პოეზიისათვის. ფორმის
მხრივ ს. ჩიქოვანს აქვს ბევრი ახალი მიღწევე-
ბი, რომელიც არ ჰქონდათ სხვა პოეტებს. ჩი-
ქოვანის ნაკლოვანებათა შორის მომხსენებელი
ასახელებს პოეტის თემატიკის შემოფარგლას
სოფლის ცხოვრებით, რომ მის შემოქმედებაში
არ არის მოცემული ქალაქის პროლეტარიატის
ცხოვრება, რომ ის ნშირად არ ამუშავებს
ლექსს, რომ ლექსის ენობრივ და მნიშვნე-
ბრივ იგი ზოგჯერ დაუღვევარი და სვე.

მოხსენების ირგვლივ გაშლილ კამათში ერთ-
ხმად აღინიშნა, რომ ჩიქოვანი წარმომადგენს
თანამედროვე ქართული პოეზიის ერთერთი მო-
წინავე ფიგურას. კამათის პროცესში დიდი ყუ-
რადღეა მიქცა ფორმის საკითხებზე. ანბ. ა. მ-
შაშვილი, ა. ქუთაისელი, და სხვების მოს-
ყავდათ ჩიქოვანის ლექსებში მხატვრული
სტილი და ფენის მხრივ გაუმართლებელი არაი-
ლები.

ნაკლოვანებათა მითითების ხაზით ერთერთი
ბრალდება ეხებოდა ანბ. ჩიქოვანის შემოქმედ-
ების თემატიკას. ანბ. პ. ქიქოძე, პ. ჩიქ-
ვაძე და სხვები ამტკიცებდნენ, რომ პოეტის
უკანასკნელი ხნის ნაწერებში იგრძნობა ერთ-
გვარი უარის თქმა აქტუალურ საზოგადოებრივ
პრობლემათა გაშუქებაზე. ამასთანავე თითქმის
ერთსულდ იქნა აღნიშნული, რომ ჩიქო-
ვანი არ არის მასიური, პოპულარული ავტორი.
ანბ. ბ. ბუაჩიძის, კ. ლორთქიფანიძის
და სხვების სიტყვებში რეაქციურად იქნა
მოხსენილი ს. ჩიქოვანის სახე, როგორც
პოეზიაში ახალი გზებისთვის მებრძოლი პოე-
ტი.

თეოკრიტიკულ შენიშვნებთან ერთად დისკუ-
სიის პროცესში ადგილი ჰქონდა ს. ჩიქოვანის
შემოქმედების ტენდენციურ შეფასებას ზო-
გიერთი თარიღის მხრივ (ვ. გაფ-
სახურდია, ნ. მიწიშვილი, კ. ქიქ-
ვაძე), რომელთა ტენდენცია მდგომარეობდა
ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში რუსულ თანამედ-
როვე პოეზიის გავლენის ნიჭბალღაში და ამ
გავლენის დაპირისპირებაში. ამავ პოეტზე ქარ-
თველი კლასიკოსების გავლენისადმი. მათი აზ-
რით მხოლოდ ნაციონალური თემატიკით შეიძ-
ლება ნარდული პოეტისა სარდლობა. როგორც
სამართლიანად აღინიშნა ანბ. ბ. ჟღენტის,
პ. ქიქოძის და სხვების მეორე, ნაციონალურ-
ი თემატიკის პრობლემის წინააღმდეგ წამო-
წყვეთ პოეტის იდეური ფანეიტარების საკით-
ხის დაზარდლება თანამედროვე პოეზიის ქარ-
თულ პოეზიაზე აუცხველ გავლენათა მიუხე-
ჩება—არ არის სწორი და მავთვე.

ერთსულღვანი იყვენ აგრეთვე მოკამათები
ვ. გაფრინდშვილის საერთოდ საინტერესო და
დამუ ავებულ მოხსენების ერთერთი პუნ-
ქტის შეფასებაში, სადაც იგი ერთგვარი მიკრო-
ძობით შეგნო ყოფილ წისფერ ყანწელთა მუ-
შაობას.

თავისი შემოქმედებით გზების შესახებ სიტყ-
ვით გამოვიდა ს. ჩიქოვანი.

დისკუსიის დასურა ბ. ჟღენტმა, რომელმაც
ს. ჩიქოვანის პოეზია ნაკლოვანებათა კრიტი-
კასთან ერთად ხაზი გაუსვა ს. ჩიქოვანის შემო-
ქმედების მნიშვნელობას ჩვენს სინამდვილეში.

მსახიობი და თეატრალური პრიტიკა

კაკო კვანტალიანი

1.
დღეს ქართულ თეატრებში უამრავი
საკურობროტო საკითხებია, რომლის
შესახებ ყველა ლაპარაკობს, სწუხს, ხო-
ლო კრიტიკაში რაიმე გარკვეულობის
დასამყარებლად ვერ გვეყოფნის ძალა.
კრიტიკოსები არ იცნობენ მსახიობის
შემოქმედებას და არ იციან რა და რო-
გორ თქვან. ამიტომ, რომ ხშირად
ჩვენი რეცენზიები უაზრო, უშინაარსო და
ყოვლად დაუსაბუთებელია. სანიმუშოდ
ავიღებ ერთერთ რეცენზიას „ესკადრის
დალუპვის“ შესახებ. შევეხებო რე-
ცენზიის მხოლოდ იმ ნაწილს, სადა აქ-
ტიორთა შეფასება: „აქტიორთა შორის
წინაპლანზე დგას ბოცმან კობზას შემ-
სრულებელი ვასო გოდიაშვილი. აქტიორი
გარდა ნიჭისა და ერუდიცი-
ისა, უთუოდ დიდი სცენიური ტექნიკის
მქონეა. მართალია, მისი კობზა გაცილი-
ვით უფრო მეტია, ვიდრე ავტორს აქვს
მოცემული, მიუხედავად ამისა პროვო-
კატორ კობზას სახე, რომელიც ამავე
დროს პირდაპირადი უკრაინელი მო-
ვინისტია, ვასო გოდიაშვილის შესრულე-
ბაში მოკვებითა როლის ღრმა გაგებით
და აქტიორული სიმართლით“. საინტე-
რესოა ვიცოდეთ რაში გამოიხატება კონ-
კრეტულად ამ როლის შესრულებაში
დიდი სცენიური ტექნიკა და ერუდიცია?
ხოლო სიტყვა „მიუხედავად ამისა“ რის
მთქმელია, ან რატომ არის ვასო გოდია-
შვილის კობზა ავტორის კობზაზე მეტი,
როგორ გაიგოს მსახიობმა ყოველივე ეს?
რას ნიშნავს თქვენნი აზრით ერუდიცია?
პროფ. გ. ახვლედიანის უცხო სიტყ-
ყათა ლექსიკონში ერუდიციას ასეთი გან-
მარტება აქვს: „მრავალმცოდნეობა, დიდ-
სწავლულობა“, კობზას როლის შესრუ-
ლებისას რაში გამოიხატება მსახიობის
მრავალმცოდნეობა და დიდსწავლულობა?
ყოველივე ის გაუგებარია.
შემდეგ: „გაიდაის როლი პიერ კო-
ბახიძის მოფიქრებული აქვს საინტე-
რესოდ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის
შესრულებაში არ მოჩანს მეზღავური“.
გაიდაი არის მეზღავური, ხოლო თუ კი
მსახიობის შესრულებაში მეზღავური
არა ჩანს, საინტერესოა ვიცოდეთ, რაღა
აქვს მსახიობს „საინტერესოდ მოფიქრ-
ებული“?

„თეატრისათვის დამახასიათებელი აქ-
ტიორული დამჯერებლობით მოცემუ-
ლია... განაგრძობს რეცენზიის ავტორი
და იწყება ჩვენი თეატრალური კრიტი-
კისათვის „დამახასიათებელი“ მსახიობთა
გვარების ჩამოთვლა.
2.
კრიტიკა დიდი სატიკვარია მსა-
ხიობისათვის, კვდება მსახიობი და მას
თან მიყვება მისი ნაწარმოებიც, რად-
გან ის თვით არის მასალა მისი შემოქმე-
დების (მასალათ ვგულისხმობ მსახიობურ
შესაძლებლობას). რჩება მხოლოდ მოგო-
ნება და მსახიობის შემოქმედების ოსტა-
ტობის სახე: თუ როგორ მუშაობდა,
რა თავისებურება ახასიათებდა და რა
სახის ოსტატობის ხარისხს მიაღწია.
ყოველივე ეს დაუფიქსარია მხოლოდ
იმათთვის, ვინც მათ უსმენდა. შემოქმე-
დებით ხანგს უნარჩუნებს მას ის თეატ-
რალური კრიტიკა, რომელიც საფუძ-
ვლიანად შეისწავლის ამა თუ იმ მსახი-
ობის შემოქმედებას და მისი ოსტატო-
ბის ხარისხს ერთგვარ ადვილს მიუჩენს.
რუსეთში შჩეპკინიდან დაწყებული
დღემდე არ არის დატოვებული არც ერთი
თი ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო
მსახიობი, რომლის შემოქმედებით ხანგს
არ არკვევდეს კრიტიკა. ყოველივე ეს
ხელს უწყობს ოსტატობის მაღალხარის-
ხიანობას და მომავალ თაობას აცნობს
ამა თუ იმ პერიოდის თეატრალურ-
პოლიტიკურ ატმოსფერას და მსახიობის
ოსტატობის დონეს.
წინად ქართულ თეატრში მუშაობის
პირობები სულ სხვა იყო, ვინემ დღეს.
ყოველგვარ დახმარებას მოკლებულნი
სულს ლაფავდენ, დღეს კი პარტიისა და
ხელისუფლების ყურადღება იმდენად
დიდია, რომ რამდენიმე წლის განმა-
ვლობაში საკმაოდ ბევრი თეატრალური
ერთეულები შეიქმნა. ამიტომ ჩვენ ათას-
ჯერ მეტი მოგვეთხოვება, ვინემ ჩვენს
წინაპრებს.
ქართული თეატრის განვითარების
ისტორიაში გვეყავდა თვალსაჩინო მსა-
ხიობები, რომლებმაც თავისი შემოქმე-
დებით უნარით აამტყვეველეს და შეაყვარ-
ეს ქართველ მაყურებელს კლასიკურ
დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.
აიღეთ ლადო მესხიშვილი, მაგრამ
სად ამოიკითხოს ჩვენმა თაობამ ამა თუ
იმ მსახიობის შემოქმედებითი სახის თა-
ვისებურების და ოსტატობის შესახებ?

სად შეიასწავლოს და როგორ გაეცნოს
ვასო გოდიაშვილის შემოქმედების სახეს,
რომელსაც მხოლოდ გადმოცემებით და
ანგლოტებით ვიცნობთ. ასევე შეიძლე-
ბა ითქვას: ნატო გაბუნიას, კოტე
მესხის, კოტე ყოფიანისა და
სხვების შესახებ. მათი შემოქმედე-
ბითი სახის აღდგენისათვის დაახლოე-
ბით მაინც შეიძლება სათანადო მასალე-
ბის შეგროვება და გამოკვება; უამრავი
მასალების შეგროვება შეიძლება ჩვენი
უხუცესი ოსტატებისაგან, როგორც თა-
ვიანთ შესახებ, აგრეთვე სხვებზეც. რამ-
დენადც ვიცით, რესპუბლიკის სახალხო
არტისტი მაკო საფაროვაშვილი
მისას ნაწერები აქვს მკონებ მემუარე-
ბის სახით. ძეტად საინტერესოა ამ იშვი-
ათი მსახიობის შემოქმედებით თავისე-
ბურების შესწავლა. ასევე შეიძლება
ითქვას რესპუბლიკის სახალხო არტისტ
ელისაბედ ჯერქეშიშვილის,
ნუცია ჩხეიძის, ვალერიან გუნიას
ა ლექსანდრე იმედაშვილის და
სხვების შესახებ. ვერავენ უარყოფს იმას,
რომ ყველა ზემოდ დასახლებული
ჩვენი ერთხმად აღიარებულნი დიდ
მსახიობებიად, ხოლო სად ამოვიკითხოთ
ჩვენ მათი სიდიადე? არც ერთი სერიო-
ზული წიგნი ან უბრალო ნარკვევი დღე-
მდე არ დაწერილა ქართული მსახიო-
ბის შემოქმედების შესახებ (ვარია მე-
სხიშვილის ბროშურა ერთად-ერთი
„წიგნია“ ქართველ მსახიობის ცხოვრება-
მოდეწეობაზე და ისიც რახანია უკვე
რაც არ იმოგება).
3.
ყოველივე ზემოდაღნიშნული შეიძლე-
ბა ითქვას დღევანდელი ჩვენი მოწინავე
თეატრების თვალსაჩინო მსახიობებზეც.
ამა თუ იმ მსახიობის შემოქმედების
განსაზღვრა ხდება არამეცნიერულად. რა-
დაც სტიქიურად, ოჯახურად ჩამოყალი-
ბდა ერთგვარი „სტანდარტი“ და ყოველ
რეცენზიაში მეორდება ერთი და იგივე
რეცენზიებიც ერთი მეორეს გავს. მსახი-
ობები „მოხდენილად თამაშობდნენ“, „ან-
სამბლს ხელს უწყობდა“ „თავის სიმალღე-
ვე იღდა“ (გეოგრაფიაში სიმალღეები
ზღვის დონეზე იზომება, ხოლო საინ-
ტერესოა ვიცოდეთ მსახიობის შემოქმე-
დება სიდიდან იზომება), „ნაზი ხაზები“,
„თვალების იშვიათად ნაზვა და ტანის
რხევა რიტმიულობაში გადმოცემული“,
„მოფიქრებულია მაქსიმალური მთლიანი
მძინა ფულადის შესრულებაში (მოუფი-
ქრებელი თამაში ჯერ ისტორიას არ
ახსოვს)“, „თავის სიმალღეზე დგანან თეა-
ტრის ნიჭიერი ახალგაზრდები“ და ჩამო-
თვლილია რამდენიმე კაცი. „ბუნებრიობა
აკლდა“, „ერ ჰქმნიდა ტიპს“, „სუსტი

23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ, მწერლობა საკვანძო წილობამ ახალი, რთული ანოცენიტი დააყენა...

ამ გარემოების ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენს „ლიტერატურის № 1-ში მოთავსებული ამ. შ. შავგულიძის წერილი: „დღის წესრიგის საკითხები“.

წერილში აღბრუნებული მკვლევარი საბაზისურად და რთული საკითხების ღრმად და სერიოზულად დამუშავება შეცვლილია...

აქ არ შეუდგებით იმ შემდგომ შეხედულებათა კრიტიკას, რომლებიც წამოყენებულია ამ წერილში...

ინის დასასაბამებლად, თუ როგორია შ. შავგულიძის სტილი და მეთოდი კონკრეტული მხატვრული ნაწარმების „გარეგნის“ დროს...

ამ რომანს ავტორი ასახელებს როგორც ისეთი ნაწარმების ნიმუშს, რომელიც ცდილობს „შეხედვით ნიღბებით და იარაღებით გვიჩვენოს გმირის ხასიათი“.

შავგულიძე მკვლევარად ახასიათებს რომანს: „ამ ნაწარმებში უფრო ემპირიულ მასალის უსრულო მიყვანა ვიდრე პროცესების გათვალისწინება და პერსპექტივები“.

თუ ეს მართლა ასეა, თუ რომანი ხატავს მხოლოდ „უცნაურ ადამიანებს“ და ხატავს „შეხედვით ნიღბებით და იარაღებით“, თუ იგი ემპირიულ მასალის უბრალო დალაგებაა...

ამას როგორ მოხდა, რომ ამ. შ. ლორთქიფანიძის შემდგომ რომანი მიიღო ჩვენი პრესის, კრიტიკის და მკითხველი საზოგადოებრივი გზის მიერ შეფასებული იქნა...

როგორც ვიცით, ეს რომანი რამდენიმეჯერ გამოცემულ კართულ და რუსულ ენებში, ითარგმნა და ითარგმნება...

ამ რომანის შესახებ, როგორც კართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი საყოველთაო მიღწევის შესახებ...

ყველანი, ლორთქიფანიძის რომანს, მასში ამა თუ იმ ნაკლებობისა და სუსტი მხარეების აღნიშვნასთან ერთად, თვლიან ავტორის და საერთოდ კართული საბჭოთა მწერლობის საგონებელს მიღწევად.

აქვეს თუ არა ამის შემდეგ შ. შავგულიძეს უფლება, რომ ამ რომანს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მისცეს აბსოლუტურად უარყოფითი შეფასება...

ყოველ კრიტიკოსს უფლება აქვს არ დაეთანხმოს უმრავლესობის აზრს და ამა თუ იმ მწერლის შესახებ საკუთარი შეხედულება იქონიოს, მაგრამ როდესაც კრიტიკოსს ეს თავისი აზრი პრესაში გამოაქვს...

როგორია ამ. შავგულიძის არაშემოქცეულია? რა ბრალდებას უყენებს ის რომანის ავტორს? რა შავგულიძის წერს: „რა აწუხებს ლორთქიფანიძის ახალგაზრდობას?“

კრიტიკოსის აზრით მომავლინებული ცოდვა ყოფილა, თუ რომანის გმირი, ლარი-ლარაკი და უმცირესობის მცხოვრებელი ფიქრობს საკუთარი ბიზის, ოჯახის, დასახლების შესახებ...

რომანის მიხედვით, მეტი რამდენიმე სტრიქონის კი არა, ასევე მეტი გვერდის შემდეგ, როცა ავტორი ავტორის სოფლად კოლმეურნეობისათვის ბრძოლის გაშლას, არტელის ჩამოყალიბებას, მთელ რიგ ცვლილებებს სოფლისა და პირადად მეტის ცხოვრებაში, მართლაც ხდება არტელის მოწინავე წევრად, ეს სრულიად ბუნებრივი გზაა მექსათვის, რომელიც მოჯადოებით ვერ შეძლო დასახლება, და რომელიც, როგორც სოფლის უღარიბესი ფენის წარმომადგენელი თავისმა სოციალურმა მდგომარეობამ ლოკალურად მიიყვანა...

„საიდანაა, რომ ამ კაცმა რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ამყო თავი კოლმეურნეობაში? ამის არსებითი მოტივები გაუგებარია“—წერს შავგულიძე.

რომანის მიხედვით, მეტი რამდენიმე სტრიქონის კი არა, ასევე მეტი გვერდის შემდეგ, როცა ავტორი ავტორის სოფლად კოლმეურნეობისათვის ბრძოლის გაშლას, არტელის ჩამოყალიბებას, მთელ რიგ ცვლილებებს სოფლისა და პირადად მეტის ცხოვრებაში, მართლაც ხდება არტელის მოწინავე წევრად, ეს სრულიად ბუნებრივი გზაა მექსათვის, რომელიც მოჯადოებით ვერ შეძლო დასახლება, და რომელიც, როგორც სოფლის უღარიბესი ფენის წარმომადგენელი თავისმა სოციალურმა მდგომარეობამ ლოკალურად მიიყვანა კოლმეურნეობის მოწინავე წევრად. აქ იგი უყვე აღარ ოცნებობს ფულისთვის შეგროვებაზე. აქ მისი ფიქრის საგანს უყვე ტრაქტორი, არტელი, ლენინი შეადგენს.

რა არის აქ გაუგებარი და გასაკვირი? კრიტიკოსი უსაყვედურებს რომანის ავტორს, რომ მისი გმირების მოქმედების არეს „ჩირგვები“ წარმოადგენს. მაშ სად, რომელ ინტუსტრიალურ ცენტრში უნდა გადაეტანა ავტორის იმ ადამიანების მოქმედების არეს, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად და იბრძვიან ახალი სოფლისათვის სწორედ ჩირგვებისა და მინდორველების დაუფლებით?

კრიტიკოსის, აზრით, კ. ლორთქიფანიძის რომანში დახატულ ახალგაზრდობის „შემაღლესი ოცნება—ქუთაისის ნახვია, ყოველდღიური გატაცება—ყოფაცხოვრებითი დევნერაცია, ონანიზმი, საუბრის საგანი—ბავლკას არღანი; ცხოვრების ინტერესი—კვერცხის ფასის გაგება ბაზარზე“.

რომანის მიხედვით კი, ავტორის მიერ დახატულ ახალგაზრდობიდან, მით უფრო დადებით ტიპებიდან, ახალ ცხოვრებისათვის მებრძოლთაგან არაფერ არ ფიქრობს კვერცხის ფასის გაგებაზე, არაფერ არ ოცნებობს ქუთაისის ნახვიაზე და თუ ვინმე მოქმედებდა ყოფაცხოვრებითი დევნერაციის გზაზე, ეს მხოლოდ მომავალი სოციალური ფენების წარმომადგენელი ახალგაზრდობაა.

რა დანაშაულია, რომ ავტორმა გვიჩვენოს განწირული სოციალური ფენების დევნერაცია? რატომ უნდა განაზოგადოს კრიტიკოსმა ერთი უარყოფითი ტიპის თვისება და გააყველოს იგი რომანის ყველა გმირებზე? ამით თავდება შავგულიძის მთელი არგუმენტაცია იმ „შეფასების“ დასასაბუთებლად, რომელიც მან მისკა რომანს.

მითხველისათვის ნათელია, რომ კრიტიკოსის მიერ დამანიშნებულია, გაყავებულია ფაქტები და იგი ეყრდნობა რომანის ავტორის მიმართ წამოყენებულ ვერცერთ ბრალდებას.

ამიტომ ასეთი დაუსაბუთებელი კრიტიკა იწვევს გულსწყობას მწერალთა შორის, იგი კარგავს დამაჯერებლობას და სცემს საერთოდ კრიტიკის ფასსა და ავტორიტეტს როგორც მწერალთა, ისე მკითხველი მასების თვალში.

კრიტიკის ავტორიტეტის დაცვისა და გაჯანსაღების მიზნით ჩვენ უნდა შევეცადოთ ასეთ წრიტიკას, რომელიც უსათუოდ შეიცავს ჯერ კიდევ დაუძლეველ ტრადიციებს იმ პერიოდის კრიტიკულ არსენალში, როცა მიყვრდებოდა და ჯგუფობრივი კონკლავა სობდა ნაწარმების ღრმა და სერიოზულ ანალიზის შესაძლებლობას.

ლორთქიფანიძე და საერთოდ ყოველი საბჭოთა მწერალი მთელი სიმკაცრით უნდა იქნას გაკრიტიკებული, მაგრამ არა ასეთ ფორმებში, არა ისე დაუსაბუთებელი, როგორც ამას ადგილი აქვს შ. შავგულიძის წერილში.

შ. შავგულიძე ჩვენი ახალგაზრდა კრიტიკოსთა თათბარს საკმაოდ ნიჭიერი და მახვილი წარმომადგენელია. მუშაობის ასეთი ჩვევების დამწვევა—აუცილებელი პირობაა მისი სერიოზულ ლიტერატურულ ძალად ჩამოყალიბებისათვის.

ამიტომ უნდა ვაგრძობინოთ მას ასე მწვავედ მის მიერ დაშვებული შეცდომა, აქედან სხვევაც უნდა გააკეთონ დასკვნები: ჩვენ არაფერს უნდა მივსცეთ საშუალება დაუსაბუთებლად, ხელაღებით განაზოგადოს მწერლის შემოქმედებითი ნამუშევარი, ამას უნდა ვებრძოდეთ ისევე, როგორც სოფლისათვის მიერ ამა თუ იმ მწერლის გადაჭარბებულ ხოტბას, უკრიტიკო შექმნას და კრიტიკის მოუთმენლობის ფაქტებს.

ბესო უდენტი

ტრ. ვაბედავი

„თავიული“. რამდენიმე რჩეული ლექსები, ამასთანავე წიგნი მიწერ-მოწერისა, გამომც. ლიზა ანატოლიანისა. პატარა, მწკრივი წიგნაკი, ერთი ანახი ღირს, იაფია, მაგრამ რა ძვირფასი იყო იგი ზოგიერთ აშოლდან ვაჟაკისათვის. წიგნშია მიწერ-მოწერის სხვა და სხვა ნიმუშები. „ქალ-ვაჟის მიწერ-მოწერა, რომელშიაც გამოაცხადებენ ერთმანეთის სურვილს“, „წერილი ჰერვიკაცისა ქალწულთან“, „წერილი ჰერვიკაცისაგან ჰერვიკ დედაკაცთან“. მოგვყავს სანიმუშოდ ეს უკანასკნელი: „იმ კვირას დაგინახეთ აგრაფინია ვერერში. მას შემდეგ თქვენი სახე იაგრ მიდგა თვალწინ, როგორც წმინდა ხატი. თქვენ მოგზორდათ თქვენი მეუღლე საუკუნოთ და მეც აგრეთვე დამიკარგავს ჩემი, როგორც თქვენ მოგესხნებათ. ესლა სჯობს გავიხაროთ ორნივე ერთად. მე ვაგვიკანდინებდით გამოავიციდათ თქვენი სურვილი ჩემის გულისა, რადგან დიდი ხანია გიცნობთ. მაქვს იმედი თქვენ ბედნიერი იქნებით ჩემთან. გთხოვთ, რომ არ წარმოიდგინოთ განსხვავება ჩვენ წილანებაში, მეწმუნეთ, რომ არავის ვერ შეგხვდებით იმისთან ნაწის სიყვარულით და მსურველ გორნობით, როგორც მე; ესეც მოიგონეთ, რომ ნათქვამია ქართულად, ხანდისხან თოვლის ქვეშედან მორაკრავებს მდულარე წყალი. გთხოვთ მალე მაცნობოთ გადაწყვეტილი პასუხი, რომ გაემართო კარგი წვეულება და ქორწილი“.



გამოხატება: კარდონზე დაბეჭდილია ყვავილების სახელები და იქვეა მიწერილი რაიმე საბაქერო წინადადება. შეარჩევ შენთვის გამოსადეგ წინადადებას, ასახელებ მის თავში მიწერილ ყვავილს და მისცემ კარდონს შენს სატრფოს. დასახელებულ ყვავილის მიხედვით იგი წაიკითხავს თქვენთვის სასურველ წინადადებას და ამავე წესით გიპასუხებთ. თამაშის ტექნიკა ძალიან ადვილია და მარჯვე მოკამათე სულ მოკლე ხანში დიდ ეფექტს მიიღწევს. ეს თამაშობა ძალიან უყვარდათ უწინ, ლიზას დროს მონიტორიგენტო ახალგაზრდობას, მაგრამ წარმოდგინეთ ახლაც თურმე არა ნაკლებ ყოფილა იგი გავრცელებული. ახლად გამოცემული „ყვავილნარი“ დიდ გასადავშია და ზომის შემთხვევაა, როდესაც ახალგაზრდათა შეკრებაში გაისმის ყვავილების სახელები და კარდონის ნაჭრები ხელიდან ხელში გადადის.

„კანონიერ ქორწინების გარეშე არავითარი სიყვარული არა მქონს“— „რა არის ადამიანი დანიშნულება“ „სიციცხლის აზრი მხოლოდ სქესობრივ კავშირშია“ „ქალი და თხარბივი ცხენი ერთია—ორივეს კარგი მხედარი უნდა“— „სამარისა მაგალითები“— „არა, ბოდიში...“— „ყვავილნარი“ ბევრი ნაწყვეტებია მოყვანილი ჩვენი ზეპირსიტყვაობიდან და ბუნებრივ ნაწარმებებშია. თითქმის ყველა მათგანი დამანიშნებულია, როგორც მაგალითად: „გოგრა არ განდება შირაზის შუში“ „რა გინდ თახჩაში ჩასდო“ „საიათოვას ცნობილ ლექსში „ზღვას ვით გააზრობს“ ასე წერია: „გოგრა არ განდება შირაზის შუში, რა გინდ მა ღლა თახჩაში ჩაიწყოს“.

ეს ისტორიაა. წიგნი გამოცემულია 1908 წელს და ახლა ცხადია, ხმარებაში იყო არის. დრო და ეპოქა ოდესღაც ისეთი იყო, რომ ეს „თავიული“ თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებდა. რითი ეხელმძღვანელო „სიყვარულის აღსნის“ დროს ვინმე შეუბარებელ სტეპკოს თუ არა ამ წიგნით. ზოგჯერ ანაბანისა ინი-ბინი არ გაეგებოდა და ასეთ წერილებს „ნაწაველ კაცს“ აწერინებდა.

„ლილილი... ენდო... უწერუწო... ვარდი... გია... ზაფრანი... კახანი...—გაიძახინა ასეთი ახალგაზრდები და ამგვარი წინადადებებით უმსაპინძლდებიან ერთმანეთს: „ნეტავი თქვენი გულის წალკოტში მართო მე ჩამახდინა“ „სიყვარულმა მიმკლა თქვენმა, გულზე დანა დამაჭირა“ „ნუ ცუნდრუკობთ, ცმაწვილა კაცო“ „პაემანი დამინიშნეთ, ჰქენით თქვენ ჩემი საწადელი“ „როდის შეგძლებ, რომ ერთმა ერთი დაგი-საკუთრო“ „ჯერ გათხოვდე და შემდეგ შეიძლება“ „სი ჩაგებვედი, როგორც უსურვავი“ „ქალი ათ არის, რომ ჩემთან გაცდენილი დრო დაგიწყებოდეს“.

კიდევ ბოდიში: სიტყვა „ღმერთი“ იდენება ჩვენი ახალი ლექსიკონიდან. „ყვავილნარი“ ცდილობს ეს სიტყვა არ იხმაროს. ერთ ადგილას წერია: „მაგრამ ერთი არ გასწირავს კაცს კაცისგან განაწირსა...“ როგორ ვიცით ამ სტრიქონის ასეთნაირი დაკანონებული სახე აქვს. „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსა“.

თქვენი სიციცხლე“. არამედ—„ხალხმა ინებოს თქვენი სიციცხლე“— „მაგრამ „ყვავილნარი“ ბოლომდე ვერ უს-ლეს ამ სტიკცე „იდოლოგიურ“ ხახს. სხვა ადგილს უკვე ასე წერს, „ღმერთმა“ ერთი სად აცნონოს, ოუ მეორე არ წაწყმიდოს.“ „მა თალია აქ სიტყვა ღმერთი ფრჩხილებში აქვს ჩასმული, მაგრამ ეს ფაქტი უკვე „იდოლოგიური“ პოზიციების საკმაოდ დათმობად უნდა ჩავთვალოთ. „შემდეგში „ყვავილნარი“ რაღაც მოსახრებით მთლიანად სომობს პოზიციებს და შემტის უფრჩხილებოდ წერს: „შე ღმერთმა იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია“.

გაზული

ახალი წიგნი რუსეთის სახელმწიფო გამოსცა
მათემატიკაში გამოსცა
ალიო მამაშვილის რჩეული ლექსების კრებული.
ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე ბროდსკის,
იენევის და სხ. მიერ. წიგნი შეიცავს 102 გვერდს
და ღირს 1 მან. და 75 კაპ.

განსაკუთრებით 17, 18 და 19
დეკემბერს ატარებს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკრეველთა სრულიად საქართველოს რესპუბლიკურ კონკურსს.
კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ როიალზე, სასულე ინსტრუმენტებზე, ჩელოზე და ვიოლინზე დამკრეველები. საუკეთესო შემსრულებლები გაგზავნილი იქნებიან ლენინგრადში, საკავშირო კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად.

მაიაკოვსკის მოსკოვში აწარმოებენ
გამომცემლები კვლევა-ძიებას იმ მასალი-სას, რომელიც დღემდე დაბნეულია. მაიაკოვსკი სწავდასწავა სამხედრო და შემდეგ სამეურნეო ორგანიზაციებს ლოზუნგებს უწერდა ლექსად. ასეთი ლექსი-ლოზუნგები უამრავი აქვს მაიაკოვსკის. ეს მუშაობა შეადგენს მისი შემოქმედების ერთერთ დამახასიათებელ თვისებას.

ოსეთში ქ. სტალინში მხოლოდ ერთი კინო-თეატრი და, რა თქმა უნდა, მას დიდძალი მსახურებელი ჰყავს. კინოს აღმშენებელია კი ზომებს არ იღებს, რომ მაყურებელს შეუქმნას სურათის ნახვისათვის სათანადო კულტურული პირობები. კინოში ძალზე ცივა, არ თბება დარბაზი, ფოიე და ბუფეტი. სურათის მკვლელობა ს დროს დარბაზში მაყურებელთა განუწყვეტელი სიაოულია, სკამები დაუნომრავია და იწვევს წესრიგის დარღვევას და ჩხუბს შესვლის დროს. იყიდება ბილეთები ორ სენსზე და უხეხებენ კი მხოლოდ ერთ სენს, კინო-ლენი ზომიერად წყდება და კინო აპარატიც იმდენად მოძველებულია, რომ მუდმივ შეკეთებაშია.

ალ. ზახევი

გამოფენა, განსნილია მხატვართა კავშირის გაღრმავებაში. ტუვანოვი ითვლება ოსეთის მხატვრების პიონერად.

გარდაცვალებიდან 15 წლის თავი აღინიშნა სომხეთში. იგი იყო სომხური სიმეოლიზმის დიდი წარმომადგენელი, რომელიც გახდა ავტორი-პოეტად, პარტიის წევრად და დიდ როლს თამაშობდა რუსეთში რევოლუციის დასაწყისშივე, როგორც ბოლშევიკი. ტურინი იყო სტალინის უახლოესი თანამშრომელი ნაციონალურ საქმეთა კომისარიატში მუშაობისას. მას დარჩა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

საქართველოს ფილარმონიაში გამოფენა ორი აბონემენტი კონსერვატორიის პროფესორთა და მუსიკანების პედაგოგებისათვის. აბონემენტები მოუხმენენ თეატრის, საფორტეპიანოს, ანსამბლურის, ოსტრახის, აბორინის, გილდეს, ფიშმანის მონაწილეობით 10 კონცერტს.

თებერვლის პირველ რიცხვებში რუსეთის თეატრში მორიგ პრემიერად დაიდგება ს. მთვარაძის ახალი პიესა „შლეგი“.
პიესას დგამს რეს. ს.ხ. მსახიობი აკაკი ვასაძე.

კრიტიკის რესპუბლიკურ თათბირთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირი ატარებს მთელ რიგ დისკუსიებს ოსეთის მწერალთა შემაჯამებლის გარშემო. პირველი დისკუსია დაიწყო 20 იანვარს ჩერმენის ახალი მოთხრობა „ბირალთა“-ს (მაღები) გარშემო.



როგორ წარმოუდგენია ზოგიერთ მწერალს კრიტიკოსის და მწერლის დამოკიდებულება

თვალი ზეცას მიაპყრო,
ხარ ოლიმპზე — როგორც ზეფსი.
ნეტა მქონდეს ნიჭის ძალი,
„კრიტიკასაც“ გეტყვი ლექსით.
ვეფხვივით წერ, იბრძვი, ომობ,
თხზულებათა დადგი მითანი...
ო, ვით შევძლებ გავიზომო:
კუთხე სიგრძე, ნიჭის განი...
შენ ვეწვევის ცეცხლი მოგწვიმს,
აზრი მზის გაქვს, სიტყვა მების.
„ქებანს“ გიძღვნი კრიტიკოსი,
არ დამადგა მხოლოდ ფეხი.

მხატვრულად ავორიგებენ

როგორც წინა ვერდიო, ქ. ტუვანში დაიხსნა მალახიების მხატვრულად გაფორმება. ბევრი უგემოვნო ფაქტებს აქვს ამ მხრივ ადგილი, მაგრამ ბევრია კარგი ნიმუშებიც.

ფედუაციის მოედანზე პუშკინის № 3 განსილი კაფე „ლიუსი“ — აღსანიშნავია მხატვრული გაფორმების მხრივ და წარმომადგენს შილწვეს ქალაქის გამწვენიერების საქმეში. კაფეს გაფორმებულმა მხატვრებმა ბ. დე და ბ. რი ვილიმა და ალექსი ოსტაპოვიმა ფერების კულტურული შენაშენით და აივანების მიზანშეწონილი დალაგებით შექმნეს ნამდვილი ინტერი, რომელიც აუცილებელია ამ შემთხვევაში. ცალკეული დასაჯდომები ავტორებს გაუყვებიათ ლოჟა-კუთხეების მსგავსად. საერთოდ კაფე მოუწყვიათ თეატრის დარბაზის პრინციპით. ერთი მხრივ დარბაზში ჩვენ მოცემული გვაქვს ლოჟა-კუთხური საჯდომები, რომლის მაგივრესაც ადგია დეკორატიული ფერებში მოხატული აბაჟურის სინათლე. ლოჟების მუქი ფერები და აბაჟურის ბრჭყვიალი ქმნის ფერების სიბრძნულს. თვით მაგიდაც განათებულია ელექტრო-შუქით და ემბარება საერთო კოლორიტს. დარბაზის მეორე მხრივ მოცემულია ავტომატურად ჩამოსაშვები მაგიდები, მაგიდების ჩამოსვებისას კედელში ნათლდება „მინიუ“. მაგიდის ირგვლივ დგას შიშველი სკამები, მაგრამ ისინი ფერებით შენაშენებულია დარბაზის საერთო განწყობილებასთან. კედლების ქვედა ნაწილი მოცემულია მუქ ფერებში. ხალხი შუა კედლიდან იწყება სარკეების, თუნუქების, აბაჟურებისა და გაფანტულ ფერების ლიცილი. ეს უმთავრესად მწვანე გახუხუხულის ფერებშია სულ და საამო ტონალობას ქმნის. პალმები და მწვანეულობაც უმთავრესად კაფეში. რადიო და პატეფონი ემატება ყოველივე ხემოსსენებულს და კაფეს ეძლევა ხალისიანი ელფერი.
კაფეს გაფორმებაში, რა თქმა უნდა, ნაღიცი არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აქ იგრძნობა პასუხისმგებლობა და გემოვნება. ეს შენიშნავს იმიტომ დაეწერეთ, რომ სხვა დაწესებულებებშიც მიაქციონ მხატვრულ გაფორმების საკითხს ყურადღება. ბევრი „მხატვრულად“ აფორმებს და არსებითად კი უგემოვნობას ედებულაობით. საჭიროა მხატვრული კულტურის ამაღლება.

ი. ვადაჭკორია



როგორ წარმოუდგენია ზოგიერთ კრიტიკოსს მწერლისა და კრიტიკოსის დამოკიდებულება

დავიღალე, მეც კაცი ვარ,
თუმცა გაჩნდი კრიტიკოსად.
რამდენი დრო გამიწირავს,
თქვენზე არც ღირს კალმის მოსმა.
ვერ მოგართმევთ მწერლის სახელს,
ვინ ეღირსა ქებას ცაცხლოვ.
ყველას გოდორს გადაგიძახებთ,
მწერლობიდან ყველას ცოცხი.
მხოლოდ მას კი, ვინც რომ ახლო
ჩემთან არის — ვნიშნავ მგოსნად.
დღე და დამე თქვენზე ვლაცხოვ,
მეტი რა ვქნა კრიტიკოსმა.

რესპუბლიკური თათბირი

23 იანვარს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13), ანხ. მალაქია ტოროშვილის თავმჯდომარეობით, გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე. დღის წესრიგი:

1. ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები — მომხს. დ. დემეტრაძე.
2. ლიტერატურათმცოდნეობის ფრონტი საქართველოში — მომხს. ბესო ჟღენტი.

თათბირზე მოწვეული არიან საბჭოთა მწერლები, კრიტიკოსები და ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სამეცნიერო მუშაკები. აგრეთვე მწერალთა კავშირის, საგამომცემლო ორგანიზაციების, ელხის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. თათბირს დაესწრებიან ქუთაისის და აჭარის რაიონის მწერალთა კავშირის წარმომადგენლები. დასაწყისი 7 საათზე. შესვლა ხოლოდ მოსაწვევ ბარათებით.

რეპლიკა ფოთელ ოპონენტს!

„ლიტვაზეთის“ № 1-ში გამოქვეყნდა ჩემი წერილი ყოფა-ცხოვრების საკითხების გაშუქების შესახებ მწერლობაში. წერილი სადისკუსიოდ იყო გამოცხადებული და, მასთანავე, შეიცავდა საკამათო დებულებებს. მე ვალდებული ვარ ყოველთვის მზად ვიყუე საქმიანი შენიშვნების მოსასმენად და შესაძლებელ შეცდომათა გასასწორებლად, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქმის ყველას შეეძლოს უპასუხისმგებლო და ყოველგვარ საზღვარს გადასული ბრალდების წამოყენება. „ფოთის მუშის“ უკანასკნელ №-ში სწორედ ასეთ უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი, და საინტერესოა, რომ ამ უპასუხისმგებლობის შემოქმედი სახელდობრ ის ავტორია, რომელმაც სწორედ ამევე ყოფა-ცხოვრების საკითხებზე ტროცკისტული დებულებებით აღსავსე წიგნაკი დაწერა და იმავე დღესვე მოუხდა მისი უკან წაღება. „ფოთის მუშის“ მოპოეტო რედაქტორ კოკი იბრალიძეს (რომელიც იმდენად ბოროტად სარგებლობს თავისი უფლებებით, რომ თავისივე თავს იმავე გაზეთის იმავე ნომერში ქართველ მოწინავე მწერლების შორის იხსენიებს!) კარგად უნდა ესმოდეს, რომ „ლიტვაზეთი“ სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოა და რომ მასზე ყოველგვარი პროვოკაციის გავრცელებას „ფოთის მუშის“ ფურცლებზე აუ უნდა ჰქონდეს ადგილი. ამ გაზეთს უფრო მეტი სარგებლობით შეეძლო გამოეჩინა თავისი ინტერესი ლიტერატურისადმი, ინტერესის ასეთი გათვლინება კი, და რედაქტორის ეს საქციელი ძალაუნებურად გვაფიქრებინებს იმის შესახებ, რომ ეს ნაპოეტარი რედაქტორი უფრო თავისი პოეტური პრეტენზიების გაუნაღებლობითაა შეწუხებული („ლიტვაზეთის“ სარედაქციო ვოდორი ხომ არ არის ამაში დამნაშავე?!). ვიდრე ლიტერატურაში სწორი ხაზის დაცვით.

კომკავშირული სალამით შ. შავგულიძე

რედაქტორი: პლატონ ძიძიძე

რედაქციის მდივანი: ნიკოლოზ ჩაჩავა

სარედაქციო კომპლემენტების წვდობა: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, პაოლ რაშვილი, ალიო მამაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, პლატონ ქიქოძე, სიმონ ჩიქავანი და პანტელეიმონ ხიჩკვაძე.

გამომცემელი: „ლიტვაზეთის“ გამომცემლობა

რედაქცია და გამომცემლობა: — მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. 3-47-10.

